2026 წლის იანვარ-ივნისის სავაჭრო ბრუნვა

2026 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 925.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8%-ით მეტია.

- ექსპორტი გაიზარდა 20%-ით და 3 876.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა
- იმპორტი გაიზარდა 0.7%-ით და 9 049.1 მლნ. აშშ დოლარით განისაღზვრა
- საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 172.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტის შედარებით მაღალი ზრდის ტემპის გამო მისი წილი სავაჭრო ბრუნვაში 7.1%-ით შემცირდა და სავაჭრო ბრუნვის 40% დაიკავა (2025/6-47.1%)
- შესაბამისად, 3.6%-ით გაიზარდა ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში და 30% შეადგინა (2025/6-26.4%)

ადგილობრივი ექსპორტი

2026 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 61.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 63%-ით გაიზარდა და 2 391.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ადგილობრივი ექსპორტის ძირითად 10 პოზიციას მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 68.9% უკავია. ეს პოზიციებია:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 466,9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38-ჯერ)
- ძვირფასი ლითონის მადნები - 304.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 74.3%)
- ფეროშენადნობები -147.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 53.8%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები 142 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 287.4%)
- ყურძნის ნატურალური ღვინოები - 115.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 4.8%)
- მინერალური და მტკნარი წყლები - 100.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11.9%)
- უალკოჰოლო სასმელები - 99 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23.6%)
- სპირტიანი სასმელები - 86.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15.4%)
- აზოტოვანი სასუქები - 81.1მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20.3%)
- ოქრო დაუმუშავებელი - 80.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36.4%)

რე- ექსპორტი

რე-ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 38.3% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18%-ით შემცირდა და 1 484.5 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

რე-ექსპორტში ძირითად სასაქონლო პოზიციებს წარმოადგენს:

- მსუბუქი ავტომობილები - 938.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23%)
- სამკურნალო საშუალებები - 46.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8.1%)
- ქაღალდის ტარა - 32.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 78%)
- თამბაქო - 29.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23.6%)
- სპირტიანი სასმელები - 27.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 30.7%)
- სატვირთო ავტომობილები - 20.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 0.1%)
- ბულდოზერები - 15.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 7%)
- საბურავები - 15.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 1%)
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 14.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 48%)
- ბამბა საფეიქრო მასალებისაგან - 13.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22%)

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2026 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.3 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 659.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 527.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 496.7 მლნ. აშშ დოლარი).



ექსპორტი

2026 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 69.8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (431.8 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (428.6 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (335.9 მლნ. აშშ დოლარი).



2026 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 938.0 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 24.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 486.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 12.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 304.3 მლნ. აშშ დოლარით (7.9 პროცენტი).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 11%-ით გაიზარდა და 904.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი გაიზარდა 23%-ით და 2 972.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ძირითადად გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 101 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 12%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 46% (ზრდა 11%), ყაზახეთი 18% (ზრდა 17%), უკრაინა 12% (ზრდა 6%), ლიეტუვა 5% (ზრდა 35%), უზბეკეთი 4% (კლება 20%).

- **თხილი** - ექსპორტი 74.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 41%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 27% (ზრდა 188%), ესპანეთი 11% (კლება 9%), სირია 10% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გავიდა მცირე ოდენობით), საფრანგეთი 6% (ზრდა 10%), გერმანია 5% (ზრდა 47%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 99.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 24%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 23% (კლება 15%), ყაზახეთი 16% (ზრდა 30%), უზბეკეთი 9% (ზრდა 58%), უკრაინა 5% (ზრდა 91%), ისრაელი 5% (ზრდა 5-ჯერ), ლიეტუვა 1% (ზრდა 62%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 48.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 65% (ზრდა 41%), საფრანგეთი 9% (ზრდა 172%), საუდის არაბეთი 3% (ზრდა 4-ჯერ), გერმანია 3% (ზრდა 161%), იტალია 2% (ზრდა 3-ჯერ).
- **სანელებლები** - ექსპორტი 17.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ჩინეთი 72% (ზრდა 39%), რუსეთი 19% (კლება 6%), უკრაინა 3% (კლება 19%).
- **თამბაქოს შემცვლელები** - ექსპორტი 29.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 99% (ზრდა 33%).
- **ფრინველის ხორცი** - ექსპორტი 19.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: თურქმენეთი 39% (კლება 6%), ყაზახეთი 42% (ზრდა 233%), სომხეთი 11% (კლება 37%).
- **ცოცხალი პირუტყვი** - ექსპორტი 25.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 12%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ერაყი 83% (ზრდა 38%), აზერბაიჯანი 16% (კლება 46%).
- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 15.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 186%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 81% (ზრდა 3-ჯერ), სომხეთი 8% (2025/6 – 0), თურქეთი 8% (ზრდა 2-ჯერ).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 16.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აშშ 24% (ზრდა 74%), ავსტრალია 17% (ზრდა 181%), გერმანია 13% (კლება 61%), რუსეთი 14% (ზრდა 6-ჯერ), იაპონია 6% (ზრდა 11%).
- **კოპტონი** - ექსპორტი 15.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 67%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 74% (ზრდა 60%), სომხეთი 18% (ზრდა 25%).
- **ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი** - ექსპორტი 11.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 54%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 89% (ზრდა 58%), თურქეთი 5% (25/6-0).

ამასთან, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 114.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 46% (კლება 20%), სომხეთი 13% (კლება 20%), უკრაინა 9% (ზრდა 15%), ბელარუსი 6% (ზრდა 35%), აზერბაიჯანი 6% (ზრდა 86%).

- **ღვინო** - ექსპორტი 117.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 60% (კლება 4%), პოლონეთი 7% (კლება 2%), უკრაინა 5% (ზრდა 3%), ჩინეთი 4% (კლება 9%), გერმანია 3% (ზრდა 29%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სამრეწველო პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - ექსპორტი 486.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 9-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ტოგო 26% (25/6-0), თურქეთი 14% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო ოდენობით), ჩინეთი 16% (25/6-0), სენეგალი 13% (25/6-0), ლიბია 7% (25/6-0), ალჟირი 5% (25/6-0), მალტა 4% (25/6-0), მაროკო 3% (25/6-0).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 147.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 54%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: თურქეთი 18% (ზრდა 94%), აშშ 17% (ზრდა 132%), იტალია 8% (კლება 22%), ნიდერლანდები 7% (ზრდა 49%), საბერძნეთი 7% (ზრდა 35%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - ექსპორტი 304.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 74%). ბაზრები: ჩინეთი 78% (ზრდა 71%), ბულგარეთი 22% (ზრდა 85%).
- **დაუმუშავებელი ოქრო** - ექსპორტი 80.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 36%). საექსპორტო ბაზრებია: შვეიცარია 89% (ზრდა 37%), ემირატები 9% (ზრდა 6-ჯერ), თურქეთი 2% (კლება 71%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 81.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 18%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 24% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო ოდენობით), პერუ 18% (ზრდა 9-ჯერ), ინდოეთი 11% (ზრდა 140%), განა 10% (ზრდა 78%), სომხეთი 6% (ზრდა 90%), კოლუმბია 5% (25/6-0).
- **მაისურები** - ექსპორტი 55.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზარი თურქეთი 93% (ზრდა 27%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 142 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 3-ჯერ). საექსპორტო ბაზრებია: ჩინეთი 53% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო ოდენობით), ბულგარეთი 31% (ზრდა 31%), ჰონგ-კონგი 16% (25/6-0).
- **ქაღალდის ტარა** - ექსპორტი 33.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 73%). ძირითადი საექსპორტო ბაზარია: აზერბაიჯანი 97% (ექსპორტის ზრდა 78%).

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 938 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყირგიზეთი 44% (კლება 34%), ყაზახეთი 22% (კლება 42%), აზერბაიჯანი 9% (კლება 36%), ირანი 10% (25/6-0).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 57.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 5%). საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 39% (კლება 29%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 3%), სომხეთი 17% (ზრდა 95%), ტაჯიკეთი 5% (ზრდა 19%), ყირგიზეთი 3% (ზრდა 187%).

- **სამედიცინო ხელსაწყოები** - ექსპორტი 21.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 7%). საექსპორტო ბაზრებია: ჩინეთი 31% (კლება 43%), სომხეთი 11% (ზრდა 4-ჯერ), ყირგიზეთი 6% (ზრდა 127%), ბრაზილია 6% (კლება 3%), რუსეთი 4% (ზრდა 184%).

იმპორტი

2026 წლის 6 თვეში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.6% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 392.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 195.5 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 068.1 მლნ. აშშ დოლარი).



2026 წლის 6 თვეში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფის სამეულში შედიან: მსუბუქი ავტომობილები 1 615.0 მლნ. აშშ დოლარით და მთელი იმპორტის 17.8% შეადგინა. მეორე ადგილზეა ნავთობპროდუქტები 811.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 9.0%), ხოლო მესამე ადგილზეა სამკურნალო საშუალებები 364.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4.0%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 1 325.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 1%-ით შემცირდა და 7 723.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 811.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 35%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 33% (კლება 5%), თურქეთი 13% (ზრდა 2-ჯერ), რუმინეთი 13% (კლება 10%), აზერბაიჯანი 9% (ზრდა 2-ჯერ), ბულგარეთი 6% (კლება 45%), ბელარუსი 6% (25/6-0).
- **სამკურნალო საშუალებები -** იმპორტი 364.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 9%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 26% (ზრდა 18%), გერმანია 17% (ზრდა 55%), უნგრეთი 10% (ზრდა 22%), შვეიცარია 11% (ზრდა 18%), საფრანგეთი 3% (კლება 40%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 147.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 1%). იმპორტიორი ქვეყნებია: ა/გ საამიროები 38% (კლება 16%), ჩეხეთი 20% (ზრდა 28%), ჰონგ-კონგი 12% (ზრდა 32%), ვიეტნამი 10% (ზრდა 14%), ჩინეთი 9% (ზრდა 7%).
- **ნედლი ნავთობი** - იმპორტი 202.1 მლნ. აშშ დოლარი (25/6-0). იმპორტიორი ქვეყანა რუსეთი 100%.
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 58.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 10%). იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი 32% (ზრდა 10%), უკრაინა 24% (ზრდა 98%), ბრაზილია 13% (ზრდა 4%), აშშ 10% (ზრდა 27%), თურქეთი 7% (კლება 12%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 122.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 237%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 97% (ზრდა 3-ჯერ), აზერბაიჯანი 2% (კლება 40%).
- **ვაქცინები** - იმპორტი 76.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 24%). იმპორტიორი ქვეყნებია: შვეიცარია 58% (ზრდა 30%) , გერმანია 8% (ზრდა 48%), თურქეთი 6% (ზრდა 4-ჯერ), საფრანგეთი 4% (ზრდა 53%), ბელგია 4% (კლება 29%).
- **ნახევარგამტარები** - იმპორტი 84.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4-ჯერ). იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი 86% (ზრდა 5-ჯერ), ტაილანდი 10% (25/6-0), სინგაპური 2% (ზრდა 43%).
- **ღორის ხორცი გაყინული -** იმპორტი 39.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 36%). იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 82% (ზრდა 72%), რუსეთი 8% (კლება 57%), ესპანეთი 4% (25/6-0).
- **შაქარი -** იმპორტი 37.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 14%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: პოლონეთი 29% (ზრდა 157%), სალვადორი 19% (25/6-0), საფრანგეთი 16% (კლება 31%).
- **მცენარეული (მზეს.) ზეთი -** იმპორტი 31 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 17%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 82% (ზრდა 26%), უკრაინა 12% (ზრდა 15%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები -** იმპორტი 1 615 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 57% (კლება 19%), იაპონია 13% (ზრდა 14%), გერმანია 13% (კლება 33%).
- **ხორბალი** - იმპორტი 42.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 92% (ზრდა 30%), ყაზახეთი 4% (კლება 88%), საამიროები 3% (25/6-0).
- **სატვირთო მანქანები** - იმპორტი 71 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 17%). იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 29% (ზრდა 11%), ჩინეთი 22% (კლება 1%), ნიდერლანდები 8% (კლება 39%).
- **არმატურა** - იმპორტი 69.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 88% (ზრდა 44%), ირანი 11% (კლება 21%).
- **ნაღების კარაქი** - იმპორტი 32.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 27% (კლება 27%), ფინეთი 11% (ზრდა 6%), ირანი 11% (ზრდა 5%), ბელარუსი 8% (ზრდა 5-ჯერ).
- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 4.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 20%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 53% (კლება 49%), თურქეთი 21% (ზრდა 57%), აზერბაიჯანი 16% (25/6-0).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 1.2%-ით გაიზარდა, 2 595.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 20% დაიკავა **(2025/6 -21%)**. **ექსპორტი** გაიზარდა 4%-ით, 387.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის10% დაიკავა (**2025/6-12%). იმპორტი გაიზარდა 0.8%-ით 2 208.6** მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა (**2025/6–24%).**

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 13%-ით გაიზარდა, 359.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 94.4% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 15%.

რე-ექსპორტი შემცირდა 49 %-ით 21.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 5.6% და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 1.9% დაიკავა.

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი გაიზარდა 24%-ით და 117.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქცია** შემცირდა 3%-ით და 270.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ძვირფასი ლითონების მადნები**- ექსპორტი 67.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 85%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში.
- **თხილი** - ექსპორტი 48.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 61%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 41% (ზრდა 188%), ესპანეთი 17% (კლება 9%), საფრანგეთი 9% (ზრდა 10%), გერმანია 8% (ზრდა 47%).
- **სპილენძის მადნები** - ექსპორტი 43.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 31%). მთლიანი ექსპორტი გავიდა ბულგარეთში.
- **ღვინო** - ექსპორტი 19.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 45% (კლება 2%), გერმანია 20% (ზრდა 29%), ლატვია 11% (კლება 9%).
- **მინერალური წყალი -** ექსპორტი 9.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 58% (ზრდა 35%), გერმანია 22% (ზრდა 18%), ლატვია 9% (კლება 27%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 44.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 25% (კლება 22%), ნიდერლანდები 23% (ზრდა 49%), საბერძნეთი 22% (ზრდა 35%), ესპანეთი 18% (კლება 11%).
- **საბურავები**- ექსპორტი 6.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 34%). საექსპორტო ბაზრებია: ნიდერლანდები 62% (კლება 37%), ესპანეთი 23% (ზრდა 4-ჯერ).
- **ფანერა -** ექსპორტი 11.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 9%). საექსპორტო ბაზრებია: სლოვენია 45% (25/6-0), საბერძნეთი 17% (კლება 9%), ჩეხეთი 14% (კლება 46%), ესპანეთი 8% (ზრდა 7.5-ჯერ).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 7.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლატვია 40% (ზრდა 10%), ნიდერლანდები 17% (ზრდა 161%), ლიეტუვა 14% (ზრდა 43%), საფრანგეთი 12% (კლება 83%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 6.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 83%). საექსპორტო ბაზრებია: ესპანეთი 51% (კლება 61%), იტალია 30% (კლება 59%), რუმინეთი 19% (კლება 92%), ლიეტუვა (წინა წელს გავიდა 8.2 მლნ აშშ დოლარის ოდენობით).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 370.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი შემცირდა 1%-ით და 1 837.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 260.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: რუმინეთი 41% (კლება 10%), ბულგარეთი 18% (კლება 45%), საბერძნეთი 12% (ზრდა 5-ჯერ), ნიდერლანდები 10% (ზრდა 10-ჯერ), ბელგია 7% (ზრდა 7-ჯერ), კვიპროსი 7% (ზრდა 4-ჯერ).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 193.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 22%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 31% (ზრდა 55%), უნგრეთი 18% (ზრდა 22%), საფრანგეთი 7% (კლება 40%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 42.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 18%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩეხეთი 69% (ზრდა 28%), ნიდერლანდები 14% (კლება 19%).
- **შაქარი** - იმპორტი 22.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: პოლონეთი 49% (ზრდა 157%), საფრანგეთი 26% (კლება 31%), ნიდერლანდები 16% (კლება 35%).
- **კოსმეტიკური საშუალებები** - იმპორტი 35.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 27%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 39% (ზრდა 30%), იტალია 15% (ზრდა 50%), გერმანია 13% (ზრდა 63%), პოლონეთი 12% (ზრდა 9%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 271.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 35%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 76% (კლება 33%), იტალია 6% (ზრდა 6%), შვედეთი 4% (ზრდა 1%), ჩეხეთი 3% (კლება 30%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 39.9 მლნ აშშ დოლარი (იმპორტის კლება 28%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 51% (ზრდა 11%), ნიდერლანდები 14% (კლება 39%), იტალია 13% (კლება 56%).
- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 27.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 1%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 75% (ზრდა 6%), ირლანდია 14% (ზრდა 46%), გერმანია 8% (კლება 50%).
- **ტრაქტორები** - იმპორტი 21.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 47% (ზრდა 9%), პოლონეთი 20% (კლება 0.3%), ნიდერლანდები 6% (კლება 47%), ბელგია 5% (კლება 24%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 22.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 1%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია 36% (ზრდა 13%), ნიდერლანდები 21% (კლება 36%), ბელგია 21% (ზრდა 16%), საფრანგეთი 11% (ზრდა 25%).
- **ნაღების კარაქი** - იმპორტი 16.3 მილიონი აშშ დოლარი (იმპორტის კლება 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 54% (კლება 27%), ფინეთი 22% (ზრდა 6%), გერმანია 7% (ზრდა 49%).

- **შოკოლადი** - იმპორტი 15 მილიონი აშშ დოლარი (იმპორტის კლება 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: პოლონეთი 31% (ზრდა 1%), ბელგია 18% (კლება 19%), გერმანია 15% (ზრდა 8%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 5.5%-ით გაიზარდა,** შეადგინა - 4 075.7 მლნ. აშშ დოლარი და დაიკავა საქართველოს მთლიანი ბრუნვის 32% **(2025/6– 32%). ექსპორტი შემცირდა** 12%-ით, 1 954.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 50% დაიკავა (**2025/6-69%). იმპორტი** 30%-ით გაიზარდა, 2121.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 23% დაიკავა (**2025/6-18%).**

დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი 10%-ით გაიზარდა 669.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 34% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 28% **(2025/6– 40%).**
რე-ექსპორტი 21%-ით შემცირდა 1284.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 66% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 86.5% **(2025/6-92.5%).**

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 3%-ით გაიზარდა და 635.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 18%-ით შემცირდა და 1 318.2 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 87.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 53% (ზრდა 11%), ყაზახეთი 21% (ზრდა 17%), უკრაინა 13% (ზრდა 6%), უზბეკეთი 5% (კლება 20%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 87.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 26% (კლება 15%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 15%), ყაზახეთი 18% (ზრდა 30%), სომხეთი 11% (ზრდა 54%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 33.8 მლნ. აშშ. დოლარი (ექსპორტის ზრდა 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზარია რუსეთი 94% (ზრდა 41%).
- **ქაღალდის ტარა** - ექსპორტი 33.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 76%). ძირითადი საექსპორტო ბაზარია აზერბაიჯანი 97% (ზრდა 78%).

- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 25.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 5.5-ჯერ). საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 75% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), სომხეთი 20% (ზრდა 90%), აზერბაიჯანი 5% (ზრდა 120%).
- **თამბაქოს შემცვლელები** - ექსპორტი 29.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 22%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში (ზრდა 33%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - ექსპორტი 25.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი 68% (ზრდა 43%), უკრაინა 15% (ზრდა 3-ჯერ), აზერბაიჯანი 11% (კლება 65%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 831.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 31%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყირგიზეთი 50% (კლება 34%), ყაზახეთი 25% (კლება 42%), აზერბაიჯანი 10% (კლება 36%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 96.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 54% (კლება 20%), სომხეთი 15% (კლება 20%), უკრაინა 11% (ზრდა 15%), ბელარუსი 7% (ზრდა 35%).
- **ღვინო** - ექსპორტი 85.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 82% (კლება 4%), უკრაინა 7% (ზრდა 3%), ბელარუსი 4% (კლება 27%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 54.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 41% (კლება 29%), აზერბაიჯანი 28% (ზრდა 3%), სომხეთი 18% (ზრდა 95%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 9%-ით გაიზარდა და 485.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 38%-ით გაიზარდა და 1 635.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 430.1 მლნ. აშშ. დოლარი (იმპორტის ზრდა 32%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 63% (კლება 5%), აზერბაიჯანი 16% (ზრდა 2-ჯერ), ბელარუსი 12% (წინა წელს შემოვიდა უმნიშვნელო ოდენობით).
- **ნედლი ნავთობი** - იმპორტი 202.2 მლნ. აშშ დოლარი (25/6-0). იმპორტი მთლიანად განხორციელდა რუსეთიდან.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 121.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 2.3-ჯერ). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა სომხეთი 98% (ზრდა 2.7-ჯერ).

- **მინის ბოცები** - იმპორტი 35.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 2%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 60% (ზრდა 14%), სომხეთი 31% (კლება 17%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 6%).
- **შოკოლადი** - იმპორტი 33 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 40%). იმპორტიორი ქვეყნებია: უკრაინა 40% (ზრდა 56%) , რუსეთი 40% (ზრდა 11%), სომხეთი 11% (ზრდა 2.6-ჯერ).
- **მცენარეული ზეთი** - იმპორტი 30.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 24%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 84% (ზრდა 26%), უკრაინა 13% (ზრდა 15%), აზერბაიჯანი 4% (ზრდა 8%).
- **ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი** - იმპორტი 27.7 მლნ. აშშ დოლარი, (იმპორტის ზრდა 24%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 44% (ზრდა 11%), უკრაინა 33% (ზრდა 44%), აზერბაიჯანი 11% (ზრდა 29%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბალი და მესლინი** - იმპორტი 43.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 9%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 96% (ზრდა 30%), ყაზახეთი 4% (კლება 88%).
- **ღორის ხორცი** - იმპორტი 3.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 61%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 98% (კლება 57%), ყაზახეთი 2% (კლება 90%).
- **ცემენტი** - იმპორტი 26.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 15%). იმპორტი მთლიანად განხორციელდა აზერბაიჯანიდან.
- **სიგარეტები** - იმპორტი 28.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 30%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 83% (ზრდა 52%), სომხეთი 7% (კლება 88%), უკრაინა 5% (კლება 83%).
- **კოქსი** - იმპორტი 14 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 15%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნაა რუსეთი 99% (კლება 16%).